

შპს საბას კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

- | | |
|--|------|
| 1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე | -2- |
| 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის
31 დეკემბრის მდგომარეობით: | |
| 2.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | -6- |
| 2.2 სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება | -7- |
| 2.3 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება | -8- |
| 2.4 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება | -9- |
| 3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები | -10- |

შპს საბას დამფუძნებლებს

დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს საბას (შემდგომში საბა ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს საბა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობე ვართ საბა ჯგუფისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს საბა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საბა ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან საბა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ საბა ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა საბა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება საბა ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამტკიცების ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში. მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამარი კაპანაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-115087)

შპს აუდიტ-თა (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-245931)

თამარ კაპანაძე

19 სექტემბერი 2025 წელი

შპს საბას დამფუძნებლებს

დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს საბას (შემდგომში საბა ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს საბა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ საბა ჯგუფისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს საბა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საბა ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან საბა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ საბა ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა საბა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება საბა ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში, და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივეუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში. მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე


ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამარი კაპანაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-115087)

შპს აუდიტ-თა (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-245931)

თამარ კაპანაძე

19 სექტემბერი 2025 წელი



**შპს საბაჰს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)**

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	4,167,185	4,627,463
არამატერიალური აქტივები		2,702,483	1,295,226
ინვესტიციები			
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		6,869,667	5,922,689
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	3,171,674	9,460,735
მარაგები	8	3,031,953	5,252,626
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	9	8,459,168	5,286,439
გაცემული სესხები		82,617	416,540
გაცემული ავანსები		32,271	270,099
სხვა მოკლევადიანი აქტივები		1,989,380	2,429,174
მიმდინარე აქტივების ჯამი		16,767,063	23,115,613
სულ აქტივები		23,636,730	29,038,302
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	10	2,000	2,000
აკუმულირებული მოგება		(2,866,325)	3,367,292
გადაფასების რეზერვი		951,660	951,660
სულ კაპიტალი		(1,912,665)	4,320,952
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		3,512,765	3,162,799
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		1,305,554	60,884
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი		4,818,319	3,223,683
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	4,036,611	2,087,205
მიღებული ავანსები	12	12,213,467	15,697,600
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		3,512,765	3,162,799
საგადასახადო ვალდებულებები		824,161	325,782
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		144,073	220,281
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი		20,731,076	21,493,667
სულ ვალდებულებები		25,549,395	24,717,350
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		23,636,730	29,038,302

დირექტორი -----

მთ. ბუღალტერი-----

19 სექტემბერი 2025 წელი

შპს საბას კონსოლიდირებული სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ამონაგები	13	30,314,602	19,809,077
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	14	(29,748,345)	(15,972,528)
საერთო მოგება		566,257	3,836,549
სხვა შემოსავალი		125,255	126,748
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(3,870,841)	(3,154,060)
სხვა ხარჯები		(1,531,720)	(1,034,863)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		(4,711,049)	(225,626)
საკუროსო სხვაობით მიღებული ზარალი		(384,487)	(37,192)
ფინანსური ზარალი		(1,138,081)	(447,769)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(6,233,617)	(710,587)
მოგების გადასახადი		-	-
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		(6,233,617)	(710,587)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(6,233,617)	(710,587)

დირექტორი -----

მთ. ბუღალტერი-----

19 სექტემბერი 2025 წელი

შპს საბას კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	4,077,880	951,660	5,031,540
პერიოდის შედეგი		(710,587)		(710,587)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	3,367,293	951,660	4,320,953
პერიოდის შედეგი		(6,233,617)		(6,233,618)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	(2,866,325)	951,660	(1,912,665)

დირექტორი -----

მთ. ბუღალტერი-----

19 სექტემბერი 2025 წელი

**შპს საბასა და მისი შვილობილი საწარმოს კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)**

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე	(6,233,617)	(710,849)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	728,068	398,258
ცვლილებები:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(3,172,729)	1,823,495
ცვლილება მარაგებში	2,220,673	(2,523,400)
მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებში	237,828	589,448
სხვა მოკლევადიან აქტივებში	439,794	(419,200)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	1,949,406	(422,436)
სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	(76,208)	132,360
საგადასახადო ვალდებულებებში	498,379	(176,571)
მიღებულ ავანსებში	(3,484,133)	2,890,088
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(6,892,538)	1,581,193
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	372,552	(1,487,957)
გაცემული სესხები	(333,923)	(30,917)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	38,630	(1,518,874)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	8,113,285	5,255,312
სესხის დაფარვა	(7,477,279)	(3,690,859)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	636,006	1,564,453
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	(6,217,902)	1,626,772
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(71,159)	(92,241)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო წლის დასაწყისში	9,460,735	7,926,203
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო წლის ბოლოს	3,171,674	9,460,735

დირექტორი -----

მთ. ბუღალტერი-----

19 სექტემბერი 2025 წელი

შპს საბას კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

1. ინფორმაცია „ჯგუფის“ შესახებ

შპს საბა (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საიდენტიფიკაციო ნომერი 205 166 568.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, თ.აბაკელიას ქ., №11, (სარდაფი +0, 15 ნიშნული)

კომპანიის დამფუძნებლებია: არჩილ ხაბურძანია, 01008049595 /საქართველო/ **33%**
თენგიზ ნარსია, 01008045535 /ორმაგი მოქ. საქართველო, რუსეთის ფედერაცია/ **67%**

კომპანიის დირექტორია არჩილ ხაბურძანია, 01008049595 /საქართველო/

შპს საბას საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სხვა სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები.

„ჯგუფის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

ინფორმაცია შვილობილ ორგანიზაციებზე

2021 წლის 16 იანვრიდან შპს საბა 100% წილს ფლობს და შესაბამისად აკონტროლებს შპს მნკ.ჯგუფს (ს/ნ 404399469), რომელიც დაფუძნებულია 2011 წლის 3 მაისს. აღნიშნული საწარმოს საქმიანობის ამჟამინდელ სფეროს წარმოადგენს მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემა

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

საგადასახადო კანონმდებლობა. „ჯგუფი“ და კონსოლიდაციას დაქვემდებარებული მისი შვილობილი საწარმო (შემდგომში „ჯგუფი“) თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1 სამუშაო ვალუტა

„ჯგუფის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „ჯგუფი“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „ჯგუფი“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.2 ძირითადი საშუალებები

3.2.1 აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „ჯგუფი“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში. ასევე ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში, ხდება მათი გადაფასება მსს ფასს მე-17 განყოფილების მოთხოვნათა დაცვით.

3.2.2. ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწის ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

შენობებზე - 20 წ.

ნაგებობებზე - 20 წ.

მანქანა-დანადგარები და სამშენებლო ინსტრუმენტები - 5 წ.

ელექტრო აღჭურვილობა - 5 წ.

კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები - 5 წ.

კავშირგაბმულობის საშუალებები - 5 წ.

ავეჯი და ინვენტარი - 5 წ.

ტრანსპორტი/სპეცტექნიკა - 7 წ.

სხვა ამორტიზებადი ძირ. საშუალებები - 5 წ.

3.2.3 აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსს ფასს სტანდარტის მე-20 განყოფილება – „იჯარა“ - მოითხოვს განსხვავებული მიდგომის გამოყენებას, აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის შემთხვევაში). ასეთი სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება ასევე წრფივი მეთოდით. ამასთან სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის კონსოლიდირებულად საუკეთესო შეფასების საფუძველზე იმ წინაპირობით, რომ ეს ვადა არ აღემატება 10 წელს.

3.4 მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა FIFO ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

3.5 ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს მე-11 განყოფილების 11.2 (ბ) პუნქტის შესაბამისად, ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას აწარმოებს ბასს 39-ის მიხედვით.

3.5.1 ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „ჯგუფი“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

აღიარების შეწყვეტა

„ჯგუფი“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „ჯგუფმა“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

3.5.2 ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „ჯგუფი“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

„ჯგუფის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

აღიარების შეწყვეტა

„ჯგუფი“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიიჩნევა საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.5.3 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „ჯგუფს“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს „ჯგუფისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „ჯგუფი“ გაიღებს სესხის მისაღებად.

3.6 გადასახადები

3.6.1 მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „ჯგუფს“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

3.6.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- ▶ თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

3.7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

3.8 შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება „ჯგუფში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

3.9 აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად.

„ჯგუფი“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან

► აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „ჯგუფი“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

4. ფუნქციონირებადი საწარმო

2020 წლის მდგომარეობით ჯგუფის ვალდებულებები აჭარბებს მისსავე აქტივებს. ჯგუფსა და გრძელვადიან კრედიტორებს შორის მომხდარია შეთანხმება და გრძელვადიანი ვალდებულებები გადავადდა, ჯგუფი გრძელვადიანი ვალდებულებების დაფარვას მოახდენს შემდეგი 7 წლის განმავლობაში კრედიტორებთან შეთანხმებით. მიღწეული შეთანხმებიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ ჯგუფის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და რჩება ფუნქციონირებად საწარმოდ.

5. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი

- დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა.

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	ტრანსპორტი	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2022 წმინდა საბალანსო ღირებულება	1,346,660	340,688	95,643	55,323	1,659,047	58,641	3,556,003
შესყიდვები		257,632	547,876	41,449	623,244	17,755	1,487,957
გასვლა							
31 დეკემბერი 2023 ცვეთა		-3,071	-57,826	-15,438	-314,669	-25,494	-416,497
31 დეკემბერი 2023 წმინდა საბალანსო ღირებულება	1,346,660	595,250	585,693	81,335	1,967,622	50,902	4,627,462
შესყიდვები		219,497	37,393	25,905	77,995	11,763	372,552
გასვლა		(104,762)					(104,762)
31 დეკემბერი 2024 ცვეთა		(220,255)	(112,333)	(24,069)	(342,885)	(28,527)	(728,068)
31 დეკემბერი 2024 წმინდა საბალანსო ღირებულება	1,346,660	489,731	510,753	83,172	1,702,732	34,137	4,167,185

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
ფული ბანკში	49,782	2,988,843
გარანტიის თანხები	3,121,892	6,471,892
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,171,674	9,460,735

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
საქონელი	1,784,814	1,324,983
საწვავი	35,373	36,534
დაუმთავრებელი წარმოება	1,211,766	3,891,109
სულ მარაგები	3,031,953	5,252,626

9. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,993,968	1,014,608
მოთხოვნები სახელშეკრულებო გარანტიიდან	6,328,342	4,260,857
მოთხოვნები საწარმოო პერსონალის მიმართ	81,431	10,249
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8,403,742	5,285,714

ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნები მიმდინარეა და არ შეიცავს ხანდაზმულ დებიტორებს, ამიტომ კომპანიის მენეჯმენტის რწმენით სავაჭრო მოთხოვნების აღიარებულ ოდენობასა და მათ სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა არ არის.

10. კაპიტალი

11. ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ თანხას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტში

ბ) დივიდენდი: კომპანიის მფლობელი უფლებამოსილია დივიდენდის მიღებაზე, მათი გამოცხადებისას გარკვეული პერიოდულიანობით.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი ნაშთი შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, მის ფასს-ების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2000 ლარია. 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის კაპიტალში ცვლილებები არ ყოფილა.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	4,036,611	2,087,205
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,036,611	2,087,205

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

13. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
მიღებული ავანსები	12,213,467	15,697,600
სულ მიღებული ავანსები	12,213,467	15,697,600

14. ამონაგები

ამონაგები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	30,314,602	19,809,077
სულ ამონაგები	30,314,602	19,809,077

15. რეალიზებული საქონლის/მომსახურების ღირებულება

რეალიზებული საქონლის/მომსახურების ღირებულება	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
რეალიზებული საქონლის/მომსახურების ღირებულება	29,748,345	15,972,528
სულ რეალიზებული საქონლის/მომსახურების ღირებულება	29,748,345	15,972,528

16. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
ხელფასის ხარჯი	2,313,972	2,218,299
იჯარის ხარჯი	116,750	124,950
ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯი	233,235	212,366

ბანკის მომსახურების ხარჯი	29,891	19,628
მივლინების ხარჯი	3,567	4,783
კომუნიკაციის ხარჯი	3,415	1,603
დაზღვევის ხარჯი	25,457	18,467
კომუნალური ხარჯები	29,583	19,534
საგადასახადო ხარჯი	38,469	26,875
სხვა საოპერაციო ხარჯი	102,989	70,449
სხვა ხარჯი	14,902	
ძ/ს შენახვის ხარჯი	230,544	16,570
ცვთვის და ამორტიზაციის ხარჯი	728,069	420,536
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	3,870,841	3,154,060

17. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას და ამავე დროს, ეს კანონმდებლობა ხშირი ცვლილებების საგანია. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია შეიძლება ექვეყნებში დადგეს ან არასწორად იქნას მიჩნეული შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცავენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა დარიცხულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. თუმცა, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მათ მიერ გამოყენებული საგადასახადო ინტერპრეტაციები გონივრული, სამართლიანი და სწორია და კომპანია არ დგას დამატებითი გადასახადებისა თუ ჯარიმების დარიცხვის რისკის წინაშე.

ვალდებულებები - კომპანიას არ აქვს არსებითი პირობითი ვალდებულებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სამართალწარმოებები-ხელმძღვანელობა თვლის, რომ ადგილი არ ექნება არსებით დაურიცხავი ზარალის დარიცხვას და შესაბამისად წინამდებარე წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შექმნილა.

18. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები გამოიხატება შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირებას უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. ფინანსური

ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს, არის სესხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება, სხვა დებიტორული დავალიანება და ნაღდი ფული ბანკში.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების ცვლილების რისკზე უმეტესად კომპანიის საოპერაციო საქმიანობებს (როდესაც კომპანიის შემოსავალი და ხარჯი გამოხატულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში) და კომპანიის ფინანსური ვალდებულებებს უკავშირდება, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია გამოხატული. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული პირობები.

19. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) თანახმად, მხარეები ზოგადად

დაკავშირებულად მოიაზრებიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს ან ერთერთ მხარეს შესწევს მეორეზე კონტროლის განხორციელების უნარი, ან შეუძლია ისარგებლოს მნიშვნელოვანი გავლენით, ან ერთობლივი კონტროლით სხვა მხარეზე, ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

წამყვანი ხელმძღვანელობისთვის (Key Management) ხელფასის სახით გადახდილი თანხები

31-დეკ- 2024

31-დეკ- 2023

გადახდილი ხელფასები	340000	359000
ჯამი		

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

დირექტორი -----

19 სექტემბერი 2025 წელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
შპს „საბა“

2024 წლის მმართველობის ანგარიშგება

კონსოლიდირებული

- **ისტორია, მმართველობა და განვითარების გეგმები**

შპს „საბა“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2006 წლის 17 ივლისს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომერი 205166568. კომპანიის იურიდიული მის: საქართველო, ქ. თბილისი, აბაკელიას ქუჩა, N11. კომპანიის დირექტორი არის საქართველოს მოქალაქე არჩილ ხაბურდანი.

დამფუძნებლები - თენგიზ ნარსია 67% წილის მფლობელი

არჩილ ხაბურდანი 33% წილის მფლობელი

კომპანია დაარსებიდანვე ჩართული იყო სამშენებლო სექტორში, ახორციელებს რა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში სხვადასხვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს, საპროექტო მომსახურებას და წყალგაყვანილობის და საკანალიზაციო სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

შპს საბა არის თანადამფუძნებელი ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ჯეითუნ საქართველოს ფილიალი და საბა“, რომლის სახელითაც ახორციელებს ერთობლივ პროექტებს ს/კ 212930391

შპს საბას შვილობილი კომპანიაა შპს მნკ ს/კ 404399469, რომლის 100% წილი შეისყიდა 2021 წლის იანვარში.

შპს მნკ ფლობს მიწის ნაკვეთებს ქ. სამტრედია, სოფ ბაში (19 ჰა) და წყალტუბო, სოფ მუხიანში (4,7 ჰა)

საანგარიშგებო პერიოდში მისი საქმიანობის სახეს წარმოადგენს მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემა

- **კომპანიის მომავალი განვითარების გეგმა**

კომპანია 2024 წლის მანძილზე ძირითადად ახორციელებდა დამკვეთის- საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ტენდერით გამოცხადებულ წყალგაყვანილობის და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტირება - მშენებლობის სამუშაოებს საქართველოს შემდეგ რეგიონებში: ზესტაფონი, წყალტუბო, ტყიბული, გურჯაანი, თელავი, დედოფლისწყარო, ლანჩხუთი. ასევე საერთაშორისო პროექტის- ფოთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის ნაწილს ქვეკონტრაქტის საფ-ზე. დღემდე კომპანიას დასრულებული აქვს რამოდენიმე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი ქ. ქუთაისში, საჩხერეში, ტყიბულში, ღვანკეთში, წალკაში და სხვა. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე კომპანიას შეუძლია იყოს წარმატებული როგორც მსხვილ ადგილობრივ პროექტებში, ისე საერთაშორისო ტენდერებში.

ასევე კომპანიის მომავალი სტრატეგიული გეგმაა შვილობილი კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განახორციელოს საინვესტიციო პროექტები, რაშიც გამოიყენებს მის გამოცდილებას სამშენებლო სფეროში. 2023-2024 წელს კი კომპანიამ აღნიშნულ ნაკვეთზე ააგო და ამოქმედა ბეტონის ქუბის ჩამომსხმელი ქარხანა/ნაგებობა, რომელიც განვითარებასაც გეგმავს კომპანია შემდგომ წლებში

- **ინფორმაცია ფილიალების შესახებ**

შპს „საბა“-ს ფუნქციონირების არეალს წარმოადგენს საქართველოს ზემოჩამოთვლილი რეგიონები. ფილიალები არ გააჩნია

- **ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები**

მაჩვენებელი	2023	2024
შემოსავალი	19,809,077	30063697
ზღვრული მოგება	3,836,548	566257
მთლიანი საოპერაციო მოგება	682,489	(3212339)
წმინდა მოგება/ზარალი	(710,587)	(6233617)
ზღვრული მოგების მარჟა	19,4%	1.88%
მთლიანი საოპერაციო მოგების მარჟა	3,4%	-
სწრ. ლიკვიდობის კოეფ. (მოკლ. ვად. აქტივები/პასივები)	0.94	0.81

- **მაკროეკონომიკური პირობები**

კომპანია საქმიანობს საქართველოში, თუმცა შესყიდვების არსებით ნაწილს ახორციელებს საზღვარგარეთ და ახდენს საქართველოში იმპორტს როგორც სახარჯი სამშენებლო მასალის, ისე სპეც ტექნიკის ნაწილში ძირითადად თურქეთის და ჩინეთის, ასევე ევროპის ქვეყნების ბაზრიდან (ტექნიკის ნაწილში). შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და იმოქმედებს როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე მიკრო და მაკროეკონომიკური ფაქტორები.

- **ვალუტის მერყეობა**

კომპანიაზე მოქმედებს ვალუტის მერყეობა ბიზნესგარემოსა და საქმიანობის დარგის სპეციფიკის გამო. ეფექტი არსებითია, რადგან შესასყიდი და გასაყიდი ფასების ვალუტა ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს არ ემთხვევა და სავალუტო რისკები ნაკლებად დაბალანსებულია.

- **საპროცენტო განაკვეთების მერყეობა**

ჩვენ ყურადღებას ვუთმობთ საპროცენტო განაკვეთების მერყეობისგან მიღებული ფინანსური ეფექტებისგან კომპანიის დაცვას და ვარეგულირებთ საპროცენტო რისკს ცვლად / ფიქსირებულ განაკვეთებს შორის არჩევანით, მზარდი და კლებადი საპროცენტო განაკვეთების ეკონომიკური გარემოს შესაბამისად.

- **უსაფრთხოების მხარდაჭერა**

ჩვენი კომპანიისთვის მნიშვნელოვანია იმ ადამიანების უსაფრთხოება, რომლებიც ჩვენთან არიან დასაქმებულები ან რომლებთანაც ვთანამშრომლობთ.

ჩვენი სტრატეგიაა, სისტემურად ვაკონტროლოთ უსაფრთხოების საკითხი კომპანიის მასშტაბით, მით უფრო საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით რისკ ფაქტორები არსებითია

- **საკადრო საკითხები**

ჩვენ გვაქვს დანერგილი მაღალი სტანდარტები საუკეთესო პროფესიონალების მოძიების და მოზიდვის პროცესის წარმართვისას, მათი საჭიროებების დაკმაყოფილებისას.

ჩვენი ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და პროცედურების მაგალითებია:

- დასაქმების დაგეგმვა და ახალი თანამშრომლების მოზიდვა;
- დასაქმებული თანამშრომლის სამუშაოს აღწერილობის დაგეგმვა;
- კადრების საჭიროებების ადმინისტრირება;
- ხელფასები და კომპენსაციების ადმინისტრირება;
- ქცევის კოდექსის ადმინისტრირება;
- თანამშრომელთა განვითარებაზე ზრუნვა;
- ადამიანური უფლებების დაცვაზე ზრუნვა;

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ადამიანური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ჩვენი ბიზნესსაქმიანობა ყოველთვის ატარებს სოციალურ პასუხისმგებლობას. ჩვენ ვიღვწით იმისთვის, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობები შევუქმნათ და არ დავუშვათ დისკრიმინაცია ან შევიწროება ნებისმიერ ნიადაგზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების გამო ან/და ეთნიკური ნიშნით. ჩვენი ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა ეხება უკლებლივ ყველა თანამშრომელს. სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნა კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია.

დირექტორი

არჩილ ხაბურდია

შპს საბას კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)


	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	4,167,185	4,627,463
არამატერიალური აქტივები		2,702,483	1,295,226
ინვესტიციები			
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		6,869,667	5,922,689
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	3,171,674	9,460,735
მარაგები	8	3,031,953	5,252,626
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	9	8,459,168	5,286,439
გაცემული სესხები		82,617	416,540
გაცემული ავანსები		32,271	270,099
სხვა მოკლევადიანი აქტივები		1,989,380	2,429,174
მიმდინარე აქტივების ჯამი		16,767,063	23,115,613
სულ აქტივები		23,636,730	29,038,302
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	10	2,000	2,000
აკუმულირებული მოგება		(2,866,325)	3,367,292
გადაფასების რეზერვი		951,660	951,660
სულ კაპიტალი		(1,912,665)	4,320,952
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		3,512,765	3,162,799
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		1,305,554	60,884
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი		4,818,319	3,223,683
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	4,036,611	2,087,205
მიღებული ავანსები	12	12,213,467	15,697,600
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		3,512,765	3,162,799
საგადასახადო ვალდებულებები		824,161	325,782
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		144,073	220,281
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი		20,731,076	21,493,667
სულ ვალდებულებები		25,549,395	24,717,350
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		23,636,730	29,038,302

დირექტორი -----

19 სექტემბერი 2025 წელი



მთ. ბუღალტერი -----



შპს საბას კონსოლიდირებული სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება 2024 წლის
31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ამონაგები	13	30,314,602	19,809,077
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	14	(29,748,345)	(15,972,528)
<u>საერთო მოგება</u>		<u>566,257</u>	<u>3,836,549</u>
სხვა შემოსავალი		125,255	126,748
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(3,870,841)	(3,154,060)
სხვა ხარჯები		(1,531,720)	(1,034,863)
<u>საოპერაციო საქმიანობის შედეგები</u>		<u>(4,711,049)</u>	<u>(225,626)</u>
საკუროსო სხვაობით მიღებული ზარალი		(384,487)	(37,192)
ფინანსური ზარალი		(1,138,081)	(447,769)
<u>მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე</u>		<u>(6,233,617)</u>	<u>(710,587)</u>
მოგების გადასახადი		-	-
<u>მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)</u>		<u>(6,233,617)</u>	<u>(710,587)</u>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<u>მთლიანი სრული შემოსავალი</u>		<u>(6,233,617)</u>	<u>(710,587)</u>

დირექტორი



19 სექტემბერი 2025 წელი

მთ. ბუღალტერი

შპს საბას კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	4,077,880	951,660	5,031,540
პერიოდის შედეგი		(710,587)		(710,587)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	3,367,293	951,660	4,320,953
პერიოდის შედეგი		(6,233,617)		(6,233,618)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	(2,866,325)	951,660	(1,912,665)

დირექტორი _____

19 სექტემბერი 2025 წელი



მთ. ბუღალტერი _____

შპს საბასა და მისი შვილობილი საწარმოს კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარში)

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე	(6,233,617)	(710,849)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	728,068	398,258
ცვლილებები:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(3,172,729)	1,823,495
ცვლილება მარაგებში	2,220,673	(2,523,400)
მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებში	237,828	589,448
სხვა მოკლევადიან აქტივებში	439,794	(419,200)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	1,949,406	(422,436)
სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	(76,208)	132,360
საგადასახადო ვალდებულებებში	498,379	(176,571)
მიღებულ ავანსებში	(3,484,133)	2,890,088
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(6,892,538)	1,581,193
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	372,552	(1,487,957)
გაცემული სესხები	(333,923)	(30,917)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	38,630	(1,518,874)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	8,113,285	5,255,312
სესხის დაფარვა	(7,477,279)	(3,690,859)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	636,006	1,564,453
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	(6,217,902)	1,626,772
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(71,159)	(92,241)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო წლის დასაწყისში	9,460,735	7,926,203
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო წლის ბოლოს	3,171,674	9,460,735

დირექტორი



მთ. ბუღალტერი

19 სექტემბერი 2025 წელი

შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

წამყვანი ხელმძღვანელობისთვის (Key Management) ხელფასის სახით გადახდილი თანხები	31-დეკ- 2024	31-დეკ- 2023
გადახდილი ხელფასები	340000	359000
ჯამი		

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

დირექტორი

19 სექტემბერი 2025 წელი



- **საპროცენტო განაკვეთების მერყეობა**

ჩვენ ყურადღებას ვუთმობთ საპროცენტო განაკვეთების მერყეობისგან მიღებული ფინანსური ეფექტებისგან კომპანიის დაცვას და ვარეგულირებთ საპროცენტო რისკს ცვლად / ფიქსირებულ განაკვეთებს შორის არჩევანით, მზარდი და კლებადი საპროცენტო განაკვეთების ეკონომიკური გარემოს შესაბამისად.

- **უსაფრთხოების მხარდაჭერა**

ჩვენი კომპანიისთვის მნიშვნელოვანია იმ ადამიანების უსაფრთხოება, რომლებიც ჩვენთან არიან დასაქმებულები ან რომლებთანაც ვთანამშრომლობთ.

ჩვენი სტრატეგიაა, სისტემურად ვაკონტროლოთ უსაფრთხოების საკითხი კომპანიის მასშტაბით, მით უფრო საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით რისკ ფაქტორები არსებითია

- **საკადრო საკითხები**

ჩვენ გვაქვს დანერგილი მაღალი სტანდარტები საუკეთესო პროფესიონალების მოძიების და მოზიდვის პროცესის წარმართვისას, მათი საჭიროებების დაკმაყოფილებისას.

ჩვენი ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და პროცედურების მაგალითებია:

- დასაქმების დაგეგმვა და ახალი თანამშრომლების მოზიდვა;
- დასაქმებული თანამშრომლის სამუშაოს აღწერილობის დაგეგმვა;
- კადრების საჭიროებების ადმინისტრირება;
- ხელფასები და კომპენსაციების ადმინისტრირება;
- ქცევის კოდექსის ადმინისტრირება;
- თანამშრომელთა განვითარებაზე ზრუნვა;
- ადამიანური უფლებების დაცვაზე ზრუნვა;

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ადამიანური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ჩვენი ბიზნესსაქმიანობა ყოველთვის ატარებს სოციალურ პასუხისმგებლობას. ჩვენ ვიღვწით იმისთვის, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობები შევუქმნათ და არ დავუშვათ დისკრიმინაცია ან შევიწროება ნებისმიერ ნიადაგზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების გამო ან/და ეთნიკური ნიშნით. ჩვენი ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა ეხება უკლებლივ ყველა თანამშრომელს. სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნა კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია.

დირექტორი

არჩილ ხაბურძანია

